გუგული მაღრაძე

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: gugulimagradze@gmail.com

მიხეილ მარკელია

კონფლიქტოლოგიის მაგისტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: mishamarkelia@gmail.com

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსპექტივები

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კონფლიქტის ტრანსფორმაციაში არსებული ცვლადების გამოყენებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციულ ანალიზს. კვლევა ეყრდნობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც განვითარებულია ჯონ პოლ ლედერახის მიერ, რასაც ავსებს იოჰან გალტუნგის სტრუქტურული ძალადობის კონცეფცია. ნაშრომი აანალიზებს კონფლიქტის სტრუქტურულ, ურთიერთობით, კულტურულ და პერსონალურ განზომილებებს და ასახავს ტრანსფორმაციის შესაძლო გზებს. ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების და კონფლიქტის ისტორიული ასპექტი, რომელშიც ხდება ორივე მხარის ნარატივის ანალიზი. სტატიის ამოცანაა აჩვენოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სიღრმისეული ორმხრივი ხედვა, რათა გაანალიზდეს ის ბმა, რომელიც იქნება აღნიშნული დაპირისპირების მთავარი გარდამქმნელი მექანიზმი. ს სტატიაში ნაჩვენებია თუ რა სურათი იყო კონფლიქტის დაწყებამდე. მიმოხილულია ის ისტორიული ასპექტები, რომელიც იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე და ნაჩვენებია ის გარდაქმნები, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ორ მხარეს შორის ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობას. განხილულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მთავარი ასპექტები, რომელიც არის დაპირისპირების დაწყების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ტრიგერი. ნაშრომის მიზანია შემოიტანოს სიახლე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაანალიზებაში და არ მიყვეს იმ ტრადიციულ შეხედულებებს, რაც გამოიყენება დღემდე.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტის ტრანსფორმაცია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მშვიდობის მშენებლობა, იდენტობა

შესავალი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იწყება მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან, თუმცა მისი ფუნდამენტი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იწყება, როდესაც აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი განიდევნა ოსმალეთში. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფესვები ძალიან რთული და კომპლექსურია. ეს არის პრობლემა, რომელიც ეხება ისტორიულ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ ასპექტებს. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში განიხილება რუსეთის პროექტად, თუმცა, სინამდვილეში, მთლად მასეც არ არის. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ელემენტები რუსეთმა გამოიყენა საკუთარი ინტერესების დივიდენდებად. რუსეთის მხრიდან თუ არ იქნებოდა მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ჩართულობა, შესაძლოა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი სხვაგვარად განვითარებულიყო. თუმცა კონფლიქტის ხილული ძირითადი მხარეები დღეის მოცემულობით ქართველები და აფხაზებია, რომლებიც არიან ესკალაციაზე პასუხისმგებელნი დაპირისპირებული მხარეები .

ლიტერატურის მიმოხილვა

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ძალიან მძიმე თემაა ორივე საზოგადოებისთვის. აფხაზეთში მიმდინარე ომმა (1992-1993 წლებში) ორივე მხარის რადიკალური პოლარიზაცია გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო ინტერესთა დიდ დაპირისპირებას. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტმა აჩვენა ის პრობლემები და პოტენციალი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია აღნიშნული კონფლიქტის გარდაქმნა. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეები ცდილობენ კონფლიქტის გადაჭრას, მოგვარების პროცესი შედის ჩიხში. ამ ფონზე, საინტერესოა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მოგვარება მისი ტრანსფორმაციის გზით.

სტატია ძირითადად ეყრდნობა ჯონ პოლ ლედერახის და იოჰან გალტუნგის ნაშრომებს, რომლის ავტორები არიან კონფლიქტის ტრანსორმაციის ცნების მთავარი დამფუძნებლები. გალტუნგის და ლედერახის აზრით, ტრანსფორმაცია იძლევა სოციალური ორგანიზების, ადამიანის ტრანსფორმირებული აღქმის და რეალობის რეკონსტრუქციის საშუალებას (Laderach, John Paul, 1995 p.17; Galtung Johan,1995, p.51).

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიული მიმოხილვა საინტერესოა პირველ რიგში იმით, რომ ორივე მხარე ამ დაპირისპირებას საკუთარ პრიზმიდან წარმოაჩენს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, კონფლიქტისა და აფხაზეთის ომის შესახებ ქართული მხრიდან არსებული ლიტერატურა ეყრდნობა ზურაბ პაპასქირის და მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომებს (Папаскири Зураб, 2010; Лордкипанидзе Мариам, 1990), ასევე სამურზაყანოს საკითხზე პროფესორ კახა კვაშილავას სადოქტორო კვლევა (კვაშილავა კახა, 2009) და ისტორიის ნაწილში ისტორიკოსის ბეჟან ხორავას მონოგრაფია (ხორავა ბეჟან, 1996). აფხაზური მხრიდან კი სტატია ეყრდნობა ანჩაბაძის, არგუნის და სტანისლავ ლაკობას შრომებს (Анчабадзе, Ю. Д.; Аргун, Ю. Г., 2012; Lakoba, Stanislav, 1995).

რუსული და ინგლისურენოვანი მკვლევრები - კოვალიოვის და მიროშნიკის, საფაროვის, ზურხერის და რონალდ გრიგორის, ბროერსის და ჰევითის ნაშრომები კონფლიქტის საკითხს მესამე მხრიდან აანალიზებენ. (Ковалёв В. В., Мирошник О.Н, 2008; стр.29-33; Zürcher, Christoph, 2007; Suny, Ronald Grigor, 1994; Saparov, Arsène, 2015; Broers, Laurence, 2009).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია იკვლიოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მიმართ, ამისთვის გაანალიზოს კონფლიქტის სათავეები და მისი გამომწვევი მიზეზები, და შესაბამისად გამოავლინოს არის თ არა და რამდენად შესაძლებელი კონფლიქტის ტრანსფორმაციის მეთოდის გამოყენება ამ კონფლიქტის მოგვარებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობა მეორადი კვლევის მეთოდს , სადაც გამოყენებულია მხოლოდ მოძიებული ლიტერატურის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. კონფლიქტის ორივე პრიზმიდან ხედვის მიზნით, გამოყენებულია, როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის მიერ დაწერილი ლიტერატურა, ასევე მესამე პრიზმიდან დანახვის მიზნით გამოყენებულია, როგორც რუსული, ასევე უცხოური მასალები.

კონფლიქტის ასპექტები

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კომპლექსურია, რადგან ის მოიცავს ბევრ ასპექტს, როგორც ეკონომიკურს, ასევე ისტორიულსა და სოციალურს.

ქართულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ დაიწყო ზრდა მეცხრამეტე საუკუნიდან, როცა აფხაზები განიდევნენ რუსეთის იმპერიის მიერ, თურქთა დახმარებით, ოსმალეთში და აფხაზური მოსახლეობა შემცირდა 20 ათას კაცამდე, ხოლო აფხაზეთის სანაპირო მოსახლეობისგან დაიცალა.

დაცარიელებულ ტერიტორიებზე დაიწყო სომხების, რუსების, სახვა კუთხეებიდან ქართველების, ბერძნების ჩასახლება, თუმცა აფხაზების და ქართველების ურთიერთობები იყო წამყვანი ხასიათის. რიგი მკვლევარები ხაზს უსვამენ რომ გარკვეულ პერიოდებში გამოიკვეთებოდა შედარებით ნეგატიური განწყობა აფხაზებისა ქართველების მიმართ, თუმცა ამასთან ერთად ყველაზე მჭიდრო ურთიერთობები იყო ქართველების და აფხაზებს შორის (Lakoba, Stanislav, 1995 pp.97-105; Анчабадзе, Ю. Д.; Аргун, Ю. Г., 2012). უფრო ხშირია შერეული ქორწინებები ქართველებსა და აფხაზებს შორის, ვიდრე აფხაზებსა და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს შორის. სხვადასხვა კვლევების მიხედვით ეს მიუთითებს ეთნოსებს შორის დადებით განწყობებზე.

რატომა არის ასეთი განსხვავებული ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა, რა განაპირობებს მათი ურთიერთობების დადებით და უარყოფით ასპექტებს. ჩვენი აზრით, ეს განპირობებული იყო აფხაზების შიშით, რომ დიდ ქართულ უმრავლესობას არ „ჩაეყლაპა“ აფხაზური ეთნოსი.

დღევანდელი კონფლიქტის ესკალაცია XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ამავდროულად, არსებობდა საერთო ტრადიციები, შერეული ქართულ-აფხაზური ქორწინებები, სამურზაყანოს(გალის რაიონი) ფაქტორი, სადაც გენეტიკურად მეგრულ-აფხაზური შერეული მოსახელობა ცხოვრობს, რომელსაც გააჩნია, როგორც მეგრული, ისე აფხაზური ენის სამურზაყანოული დიალექტი. ეს შერწყმა ვლინდება არამხოლოდ გენეტიკურ და ლინგვისტიკურ, არამედ კულტურულ და თვითშეგნების ფაქტორზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართულმა ინტელიგენციამ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზური ენის განვითარებაში და ანბანის ჩამოყალიბებაში. აფხაზებს ჰქონდათ საკუთარ ენაზე ტელევიზია, ხოლო სოხუმის უნივერისტეტში ქართულ და რუსულ სექტორებთან ერთად, არსებობდა აფხაზური სექტორი და სხვა (Черный И. Я. Грабовский Н. Ф. Львов Н., 1868; Папаскири Зураб, 2010; Мурзаканов А. А.,1998; გამახარია ჯემალ, ახალაძე ლია, ჯოჯუა დაზმირ, 2018, კვაშილავა კახა, 2009).

წლების განმავლობაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებისაკენ მიმართული ნაბიჯები იყო არაეფექტური. დღეის მდგომარეობით, ეს დაპირისპირება გაჭიანურებულ „გაყინულ“ კონფლიქტად განიხილება. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით, ეს კონფლიქტი ტრანსფორმაციული პარადიგმის ჭრილში განვიხილოთ (Coppieters, B., 2002; Toal, G,. 2017; Cornell, S. E., 2001; De Waal, T., 2010).

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია

ტრანსფორმაციული პარადიგმა კონფლიქტოლოგიაში გულისხმობს კონფლიქტის აღქმის, განხილვის და მართვის ისეთ მიდგომებს, რომელიც მეტ ყურადღებას აქცევს კონფლიქტის სიღრმისეულ მიზეზებს, ადამიანურ ურთიერთობებს და სისტემურ ცვლილებებს, ვიდრე მხოლოდ პრობლემის სწრაფი გადაწყვეტის მცდელობას. ეს პარადიგმა გამოირჩევა ლოგიკით რომ კონფლიქტი არის არა მხოლოდ პრობლემის წყარო, არამედ შესაძლებლობა განვითარების, სწავლის და სოციალური ცვლილებებისათვის.

ამ პარადიგმის ელემენტებია:

1. კონფლიქტი არ განიხილება მხოლოდ მარცხად და დამაზიანებლად, არამედ როგორც ურთიერთობის და კომუნიკაციის გაღრმავების საშუალებად.

2. ყურადღება ექცევა არა მხოლოდ კონფლიქტის შედეგს, არამედ კონფლიქტში ჩართულების ღირებულებების, შეხედულებების, ურთიერთობის ცვლილებას და გაუმჯობესებას.

3.კონფლიქტის ტრანსფორმაცია მოიცავს საზოგადოებრივი სტრუქტურების და ნორმების გაუმჯობესებას, რაც მომავალში კონფლიქტის განმეორების ალბათობას ამცირებს

4. შეთანხმებას, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციას დრო სჭირდება.

ტრანსფორმაციული ანალიზისათვის ვიყენებთ ისეთ ცნებებს, როგორიცაა კონფლიქტის ეპიზოდი, ეპიცენტრი, ლინზები, პლატფორმა.

ეპიზოდი ესაა კონკრეტული მოვლენა, ინციდენტი თუ მოქმედება, რომელიც ხდება კონფლიქტის კონტექსტში. ისინი იწვევენ კონფლიქტის თითოეულ მხარეში კონფლიქტის აღქმას და აყალიბებენ დამოკიდებულებას მხარეებს შორის. ეპიზოდი აძლევს კონფლიქტს ტრაექტორიას. ეპიზოდი შეიძლება იყოს რამე ძალადობრივი შეტაკება, ინციდენტი, სამშვიდობო ინიციატივა, მოლაპარაკებები და სხვა . კონფლიქტის ტრანსფორმაციისას ეპიზოდები აჩვენებენ შაბლონებს, რითაც ეხმარებიან ტრანსფორმაციის პლატფორმას კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების და შესაძლებლობების ძებნაში.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი. 1988 წლის ლიხნის შეკრება, სადაც აფხაზმა ნაციონალისტებმა მიწერეს წერილი საბჭოთა ხელისუფლებას, რათა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამხდარიყო ცალკე მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რაც გახდა მიზეზი თანამედროვე კონფლიქტის დაწყებისა. ასეთივე ეპიზოდი იყო 1920-იანი წლების აფხაზ ნაციონალისტთა დაუმორჩილებლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რასაც მოჰყვა ქართული საპასუხო ძალები გენერალ გიორგი მაზმიაშვილის მეთაურობით. ასევე ასეთი ეპიზოდები არის 1989 წლის მიტინგები, სადაც ხდებოდა დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის, აფხაზთა მხრიდან კი თავდასხმები ქართველებზე. მთავარი ეპიზოდი იყო 1992-1993 წლის ომი, სადაც მოხდა აფხაზური და ქართული მხრიდან მასიური მკვლელობები და ქართველთა განდევნა აფხაზეთიდან. ასევე შეიძლება ეპიზოდად ჩავთვალოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობა.

ეპიცენტრი- არის კონფლიქტის ფოკუსი და მის ირგვლივ ტრიალებს კონფლიქტი, რომელშიც ხდება შეტაკებები, ურთიერთმოქმედებები და ბრძოლა. ეს არის კონფლიქტის მთავარი და ძირითადი საკითხი, კონფლიქტის წყარო. ეპიცენტრი შეიძლება იყოს მატერიალური (რესურსი, ტერიტორია) და არამატერიალური (იდეოლოგია, იდენტობა, ისტორიული თუ სოციალური ტრავმები). ტრანსფორმაციის პლატფორმისთვის ეპიცენტრის შესწავლა იმითაა აუცილებელი, რომ ის გვეხმარება კონფლიქტის დინამიკის გასარკვევად და მის მოსაგვარებლად.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტში შესაძლოა სამი მთავარი ეპიცენტრი გამოვყოთ:

1. **მატერიალური**, კერძოდ, ტერიტორიული დავა აფხაზებსა და ქართველებს შორის აფხაზეთზე. ერთი მხარე მიიჩნევდა, რომ ის უნდა ყოფილიყო ერთიან საქართველოს შემადგენლობაში, რადგან ეს არის მისი მიწა, მეორე მხარე კი მოითხოვდა სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. ავტონომიის სტატუსმა გაყინა კონფლიქტი, თუმცა 1992-1993 წლებში ამ სტატუსმაც ვერ გაუძლო.

2. **არამატერიალური, კერძოდ, იდენტობის საკითხი**. აფხაზური მხარე ამბობს, რომ ის არის ცალკე ეთნიკური და ეროვნული ჯგუფი, აქვს თვითგამორკვევის უფლება, როცა

საქართველო აფხაზების ეროვნულობის იდეას არ აღიარებს და იბრძვის სუვერენიტეტისთვის.

3. **არამატერიალური, კერძოდ, ისტორიული საკითხი**. აფხაზური მხარე ამტკიცებს, რომ ის არის აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, როცა ქართული მხარე ამბობს, რომ აფხაზური ელემენტი არის მოგვიანო პერიოდის და ეს ძირძველი ქართული მხარეა. აფხაზ სეპარატისტთა ჭიდილი და ქართველ ნაციონალისტთა ბრძოლა აფხაზების წინააღმდეგ კიდევ უფრო აღვივებს კონფლიქტს.

4. **არამატერიალური, კერძოდ, სოციალური საკითხი**. აფხაზური მხარე შეშფოთებული იყო იმით, რომ ქართული მხარე ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყო, როცა ქართული მხარე შეშფოთებული იყო იმით, რომ აფხაზებს ჰქონდათ ხელისუფლებაში, და ზოგადად დასაქმებაში პრივილეგიები.

პლატფორმა- არის კონფლიქტის მოგვარების მთელი კომპლექსი, რომელიც არის ჩარჩო ან სივრცე, სადაც ხდება კონლფიქტის მოსაგვარებლად გზების გამოკვეთა და მოიცავს ისეთ პროცესებს და ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ კონფლიქტში ჩართვასა და ჩარევას. ასეთი პლატფორმები, ძირითადად, ფორმალური (სამშვიდობო მოლაპარაკებები, მედიაციის სხვადასხვა ფორუმი, სამშვიდობო პროგრამები) და არაფორმალური (ადათისეული სათემო მოლაპარაკების სივრცეები, სამშვიდობო ინიციატივები, ეკონომიკური კავშირები თუ სხვა). ეფექტური მოლაპარაკებების და თანამშრომლობის პლატფორმების შექმნა აუცილებელია კონფლიქტის მოსაგვარებლად და შემდგომში ასრულებს გადამწყვეტ როლს კონფლიქტის კონსტრუქციულ ფორმაში ტრანსფორმაციისთვის და ხელს უწყობს კონსტრუქციულ ურთიერთმოქმედებებს კონფლიქტში. შემდგომ კი უმნიშვნელოვანესია მდგრადი მშვიდობის მშენებლობასა და შენარჩუნებაში.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში პლატფორმების ძირითადი წილი მიდის საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომლებიც გაეროს, ეუთოს, დსთ-სა და სხვა მონაწილეობით ქმნის მედიაციის წრეებს და ეხმარება ქართულ-აფხაზურ მხარეს მოლაპარაკებებში. თუმცა ის რომ აფხაზური და ქართული მხარის საგარეო ინტერესებში არაა თანხვედრა ინტერესებსა და პოზიციებში ართულებს საკუთრივ მედიაციისა და მოლაპარაკების პროცესს. ასევე ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად ხელშემწყობია სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივები, რომლებიც ახორციელებენ კონფლიქტის დეესკალაციას, ასევე აფხაზთა და ქართველთა შორის წარმოებული კანონიერი თუ შავი ბიზნესი. ასევე მნიშვნელოვანია არ გამოვტოვოთ ნათესაური კავშირები ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომელიც ხელს უწყობს კონტაქტების განმტკიცებას და ნდობის აღდგენას. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პლატფორმის ფუნქციებს ასრულებდა არასამთავრობო სექტორისა და საქართველოს სახელმწიფოს პროგრამები. მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, აფხაზებისთვის უფასო სამედიცინო და საგანმანათლებლო პროგრამები.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიული ჩარჩოს მიხედვით, რომლის მთავარი ავტორები არიან ჯონ პოლ ლედერახი და იოჰან გალტუნგი, კონფლიქტი არის არა მხოლოდ პრობლემა, რომელიც უნდა დასრულდეს, არამედ სოციალური ცვლილებების შესაძლებლობაც.

ლედერახის მიხედვით, კონფლიქტი ბუნებრივი სოციალური პროცესია და მისი მართვის მიზანი უნდა იყოს ურთიერთობების, სტრუქტურების და სოციალური სისტემების გარდაქმნა.

ტრანსფორმაცია მოიცავს ოთხ ძირითად განზომილებას;

1. **პერსონალური ტრანსფორმაცია**: ინდივიდების ემოციების, აღქმების და დამოკიდებულებების ცვლილება;

2. **ურთიერთობების ტრანსფორმაცია** : მტრობის, უნდობლობის, და კომუნიკაციის პრობლემების შეცვლა;

3. **სტრუქტურული ტრანსფორმაცია** : სოციალური და პოლიტიკური სისტემების ცვლილება, რომელიც წარმოშობს კონფლიქტს;

4. **კულტურული ტრანსფორმაცია**: ნორმების და ღირებულებების ცვლილება , რომლებიც ამყარებდნენ ძალადობას.

ლედერახმა განავითარა კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონცეფცია მშვიდობის მშენებლობის კონტექსტში. მისი კონცეფციის მიხედვით მშვიდობა უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სოციალური დონეზე:

- **ზედა დონე**: პოლიტიკური ლიდერების და ელიტა;
- **საშუალო დონე**: ინტელექტუალები, რელიგიური ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციები;
- **საზოგადოებრივი დონე**: ადგილობრივი თემები და მოქალაქეები.

მშვიდობა დამყარდება მაშინ, როცა ეს სამი დონე მშვიდობის მშენებლობის პროცესში ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ქართულ-აფხაზურ პრობლემატიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალო და საზოგადოებრივ დონეზე ტრანსფორმაციის პოტენციალი მაღალია, რადგან ტარდება ტრენინგები, შეხვედრები, 2010 წლიდან არსებობს ჯანდაცვის და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მატერიალურად ეხმარება აფხაზურ საზოგადოებას, მით უმეტეს მათ აქვს დიდი საშეღავათო პაკეტები, რომელიც 2018-2020 წლებში გაფართოვდა. თუმცა, შედეგი არ არის სრულყოფილი, რადგან მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი არის ზედა დონე ანუ პოლიტიკური ელიტა, სადაც არც ერთი მხარე არ მიდის კომპრომისზე, არ არის ურთიერთგაგება, რის გამოც კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის საჭირო საშუალო და საზოგადოებრივი დონე ვერ ახერხებს სრულყოფილ მუშაობას, რათა შექმნას ახალი პერსპექტივები.

ასევე ლედერახის მეთოდის მიხედვით აუცილებელია ოთხი ღონისძიება:

- **მშვიდობა**- ანუ ისეთი აქტივობების და პოლიტიკური პაკეტების წარდგენა, რომელიც მშვიდობისუნარიანობას აჩვენებს;

- **სამართალი**- ომის მსხვერპლების ხელშეწყობა და ჩადენილი დანაშაულებების აღიარება;

- **შეწყალება**- ნეგატიური სტერეოტიპების მოშლა, გახსნილობა, საუბარი ომის ტრვმაზე, დაახლოება;

- **სიმართლე და ობიექტურობა**- ყველანაირი ნაციონალისტური ხედვის აღკვეთა და ომის რეალურ მიზეზებზე საუბარი.

აფხაზეთის კონფლიქტის მთავრი პრობლემატიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ოთხივე ღონისძიება, ორივე მხრიდან არ სრულდება. პირიქით, ორივე მხარე ცდილობს გაამართლოს საკუთარი ქცევა და კონფლიქტის არსი ნაციონალისტური პრიზმიდან აჩვენოს საზოგადოებას, რაც მთლიანად ამსხვრევს სამართლის და შეწყალების ასპექტებს. უკანასკნელი კი დამოკიდებულია მშვიდობის მშენებლობის ზედა დონეზე, სადაც პოლიტიკური ელიტა შედის, რომლის შემდგომ დაიწყება საშუალო და საზოგადოებრივი დონის კიდევ უფრო აქტიური მუშაობა და საქართველოში არსებული ჰუმანიტარული პროგრამები გახდება სრულყოფილი რესურსი, რომელიც დააჩქარებს მშვიდობის მშენებლობას და ურთიერთობების აღდგენას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომელიც მოითხოვს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აქტორების ჩართულობას. მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმება ვერ უზრუნველყოფს მდგრად მშვიდობას, თუ არ მოხდება საზოგადოების დონეზე ცვლილებები.

ტრანსფორმაცია მოიცავს:

- მრავალპერსპექტიულ ისტორიას
- სიძულვილის ენის შემცირებას
- ტრანსფორმაციის სტრატეგიებს
- მოკლევადიანი ღონისძიებებს
- ნდობის აღდგენის მექანიზმებს
- ჰუმანიტარული თანამშრომლობას
- საშუალოვადიან ღონისძიებებს
- განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობას
- ეკონომიკური კავშირების განვითარებას
- გრძელვადიანი სტრატეგიებს
- შერიგების პროცესებს
- ტრანზიციულ სამართლიანობას
- საერთო პოლიტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბებას

იოჰან გალტუნგის მიდგომით, კონფლიქტის მდგრადი მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კონფლიქტის ძირეული მიზეზები და ძალადობის სტრუქტურული ფორმები გარდაიქმნება. გალტუნგის ცნობილი მოდელია კონფლიქტის სამკუთხედი, რომელშიც სამი ძირითადი კომპონენტია. მისი თეორიის მიხედვით, კონფლიქტის სამი ელემენტის ურთიერთქმედება ასე აისახება ჩვენს შემთხვევაში.

1. **წინააღმდეგობა**-ეს არის კონფლიქტის სტრუქტურული საფუძველი. საქართველოში არსებულ კონფლიქტებში ეს გამოიხატება: ტერიტორიალური კონტროლის საკითხში პოლიტიკური სტატუსის უთანხმოებაში, უსაფრთხოების დილემაში, ისტორიული ნარატივების დაპირისპირებაში; მაგ, საქართველოსთვის - ტერიტორიალური მთლიანობა , აფხაზების და ოსებისათვის -თვითგამორკვევა.

2. **დამოკიდებულებები**- ეს ეხება ფსიქოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებს. კონფლიქტში განვითარდა: ურთიერთ უნდობლობა, მტრული სტერეოტიპები, ისტორიული ტრამვა, კოლექტიური მეხსიერების განსხვავებული ნარატივები.

3. **ქცევა** -ეს არის კონფლიქტის ხილული ფორმა; გამოიხატება სამხედრო დაპირისპირებაში, იძულებით გადაადგილებაში, ძალადობასა და ადამიანის უფლებების დარღვევებში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთში ომი (1992-1993), საქართველო-რუსეთის ომი (2008)

ამავე თეორიის მეორე კონსტრუქტი არის ძალადობის სამკუთხედი, რომელიც მოიცავს ძალადობის სამ ტიპს და ეს აისახება აფხაზეთის კონფლიქტში ამგვარად:

- **პირდაპირი ძალადობა** : ომი, სამხედრო ოპერაციები, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება;
- **სტრუქტურული ძალადობა** :ეკონომიკური ოზოლაცია, გადაადგილების შეზღუდვა, პოლიტიკური უფლებების პრობლემები, ჰუმანიტარული გამოწვევები;
- **კულტურული ძალადობა:** კულტურული ფაქტორები, რომლებიც ამართლებენ კონფლიქტს, კერძოდ: ისტორიული მტრობის ნარატივები, ეროვნული იდენტობის რადიკალიზაცია, მედიის ნეგატიური დისკურსი;

ტრანსფორმაციის პერსპექტიული ანალიზი გვაჩვენებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრა - მოგვარება შეუძლებელია მხოლოდ სამხედრო ან დიპლომატიური გზებით. აუცილებელია:

- ურთიერთობების აღდგენა
- სტრუქტურული უთანასწორობის შემცირება
- კულტურული ნარატივების ტრანსფორმაცია

გალტუნგის თეორიის მიხედვით, ტრანსფორმაცია ნიშნავს ძალადობის ყველა ფორმის შემცირებას. მან შემოიტანა ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობის ცნება :

- **ნეგატიური მშვიდობა** -ნიშნავს ძალადობის არარსებობას, ცეცხლის შეწყვეტას, დროებით სტაბილურობას.
- **პოზიტიური მშვიდობა**- ნიშნავს სოციალურ სამართლიანობას, თანასწორობას, მდგრად ინსტიტუტებს.

ტრანსფორმაციის მიზანია პოზიტიური მშვიდობა, თუმცა სტატიაში განხილულ კონფლიქტში არის ნეგატიური მშვიდობა, რადგან აქ არის მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის და დროებითი სტაბილურობის ელემენტები.

მდგრადი მშვიდობა მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონფლიქტის ყველა დონეზე მოხდება თანმიმდევრული და კოორდინირებული ცვლილება. .

პიროვნული დონეზე შედარებით ადვილია საჭირო ცვლილებები , რადგან ძლიერია ნათესაური და მეგობრული კავშირები ამ ორ ხალხს შორის. დღემდე ისინი აწარმოებენ ბიზნეს კავშირებსაც. თურქეთში ქართველებსა და აფხაზებს შორის ნორმალური ურთიერთობებია.

- **სტრუქტურული დონე**-ამ კატეგორიაში პრობლემა არის, რადგან აფაზეთის და საქართველოს პოლიტიკური სტრუქტურები არიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წამყვანი ძალა და ურთიერთობით ასპექტზე ახდენს გავლენას, რომელიც იწვევს ამ ორ ხალხს შორის შუღლს. ქართული მხარეს არ აინტერესებს აფხაზური მხარის ინტერესები, ისევე როგორც აფხაზურს ქართული მხარის ინტერესები. ეს კატეგორია აუცილებლობით საჭიროებს ტრანსფორმაციას.

- **კულტურული დონე**-ამ კატეგორიაში პრობლემა არის, რადგან, მიუხედავად იმისა რომ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კულტურული კატეგორიის შიგნით, ამჟღავნებს დაახლოების ელემენტებს: საქართველოში დღემდე არსებობს აფხაზური ენისა და კულტურის გაკვეთილები, საქართველო ყურადღებას უთმობს აფხაზურ ენასა და კულტურას. აფხაზური მხრიდან არის დიდი პრობლემა ქართული ენის სწავლების და ხდება ქართულ კულტურასთან ბრძოლა. ამ პრობლემის მთავარი წყარო არის პოლიტიკური ელიტა.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია მრავალარხიანი დიპლომატიის ეფექტური ჩართულობა , მაგ, მეხუთე არხის (განათლება, კვლევები და ტრენინგები) ჩართულობა, რადგან ამ კონფლიქტის მოგვარების მთავარი ასპექტები დამოკიდებულია ამ არხებისთვის გამომდინარე პრიორიტეტებზე. შემდეგი საფეხური უნდა იყოს მეოთხე არხი (ინდივიდები), მეექვსე არხი (აქტივისტები) და მეცხრე არხი (მასმედია), რომლებიც ჩაატარებენ კონფლიქტის მოგვარების სააგიტაციო და საზოგადოებრივ სამუშაოებს, რათა გაძლიერდეს საზოგადოებრივი აზრი კონფლიქტის დეესკალაციის აუცილებლობის შესახებ. შემდეგი საფეხური კი შეიძლება, როგორც დამხმარე საფეხური გამოვიყენოთ და ეს არის მეშვიდე (რელიგია) და მერვე (რესურსების გაყოფა) არხები. რელიგია და

რესურსები ამ კონფლიქტის მახასიათებელი არ იყო და ამ ასპექტების გამოყენება შეგვიძლია, როგორც დამატებითი დამხმარე საშუალებებისა კონფლიქტის დეესკალაციისთვის.

გალტუნგის მიხედვით ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- **კონფლიქტის დიაგნოზი**
- **კონფლიქტის ძირეული მიზეზების იდენტიფიცირება**
- **დიალოგის და მედიაციის პროცესები,**
- **სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ცვლილება,**
- **შერიგებას და ნდობის აღდგენა.**

რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ცვლილება შეეხება შემდეგი ფაქტორების გადააზრებას:

- იდენტობის კონფლიქტი (ეროვნული თვითგამორკვევა vs ტერიტორიული მთლიანობა)
- ისტორიული ნარატივების დაპირისპირება
- საბჭოთა მემკვიდრეობა
- გარე აქტორების გავლენა, განსაკუთრებით რუსეთის
- პირდაპირი მიზეზები
- 1992–1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტი
- პოლიტიკური კონტროლის საკითხი
- იძულებითი გადაადგილება
- დევნილთა მასობრივი წარმოშობა
- ეკონომიკური და სოციალური იზოლაცია
- უსაფრთხოების მუდმივი საფრთხე

კვლევის შედეგები

კონფლიქტის გადაჭრის პერსპექტივებს ხელს უშლის ის, რომ დღეის მოცემულობით არ მიმდინარეობს არანაირი სამშვიდობო პროცესი. კონფლიქტმა შეიძინა საქართველო-რუსეთის დაპირისპირების განზომილება. მდგომარეობის სიმძიმე ასევე აისახება იმითაც, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ამ კონფლიქტმა გადაიტანა ომების სერია (1992-1993 წლის ომი, 1998 წლის ომი გალის რაიონში, 2001 წლის ომი კოდორის ხეობაში, 2006 წლის შეტევა და 2008 წლის ომი, სადაც კოდორის ხეობა დაიკარგა), თუმცა 2008 წლიდან კონფლიქტის ფორმატი უფრო რთული გახდა და დეესკალაციას უფრო უფრო მეტი რესურსი სჭირდება. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირია ძალადობა მოსახლეობის მიმართ, ინტენსიურია ე.წ. „ბორდერიზაციის პროცესი. თითქმის არ

არსებობს უმცირესი დონის ნდობაც კი მხარეებს შორის. არ მიმდინარეობს რაიმე მუშაობა კომპრომისის დასანახავად.

ამ ფონზე ჩნდება კითხვა, არის რაიმე შანსი დღეს ქართულ აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის. ყველაზე ხელშესახები დასაყრდენი ამ მიმართულებით არის თანამშრომლობა პოლიტიკურად შედარებით ნეიტრალურ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა დს განათლება. ამ და სხვა მსგავსი მიმართულებებით (მაგ, ბიზნესი) საერთო ინტერესების გამონახვა არის გადაუდებელი . უმნიშვნელოვანესია კონფლიქტის შედეგად მხარეებს შორის გაუცხოების შემცირების აუცილებლობა და გადაუდებლობა. ქართულ საზოგადოებაში უნდა შემცირდეს აგრესია, აღმოიფხვრას მავნე სტერეოტიპები, ილუზიები და მითები.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია უნდა გახდეს ზეპარტიული მთავარი ეროვნული ამოცანა. მიეცეს ამას ეროვნული ინტერესის სტატუსი და გახდეს უპირველესი მნიშვნელობის მქონე როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებისათვის. სხვადასხვა კონფლიქტებთან მიმართებაში არსებული კვლევები მოწმობენ რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციას შეუძლია მეტი სიკეთე მოუტანოს კონფლიქტის მხარეებს, ვიდრე დაპირისპირებამ.

ჩვენს მიერ განხორციელებული ტრანსფორმაციული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არის კომლექსური და საჭიროა მისი ეტაპობრივი მოგვარება. ტრანსფორმირებული კონფლიქტი არის მნიშვნელოვანი წინაპირობა ქართულ აფხაზური კონფლიქტის საბოლოოო აღმოფხვრისათვის.

Environment and Society, Issue 20, 2026

Guguli Magradze
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Email: gugulimagradze@gmail.com

Mikheil Markelia
Master of Conflictology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Email: mishamarkelia@gmail.com

Prospects for the Transformation of the Georgian-Abkhazian Conflict

Abstract

The present paper aims to conduct a transformational analysis of the Georgian-Abkhazian conflict using the variables of conflict transformation. The study is based on the theoretical framework of conflict transformation developed by John Paul Lederach, complemented by Johan Galtung's concept of structural violence. The paper analyzes the structural, relational, cultural and personal dimensions of the conflict and outlines possible paths for transformation. The paper analyzes the historical aspect of Georgian-Abkhazian relations and the conflict, in which the narratives of both sides are analyzed. The task of the article is to show an in-depth bilateral view of the Georgian-Abkhazian conflict in order to analyze the bond that will be the main transformative mechanism of the aforementioned confrontation. The article shows what the picture was before the conflict began. The historical aspects that were on the territory of Abkhazia are reviewed and the developments that laid the foundation for the modern state of relations between the two sides are shown. The main aspects of the Georgian-Abkhazian conflict are discussed, which are the main driving force and trigger for the start of the confrontation. The aim of the work is to introduce innovation into the analysis of the Georgian-Abkhazian conflict and not to follow the traditional views that are used to this day. . The article is accompanied by the used literature, in the form of a bibliography and online resources in the form of Internet materials.

Keywords: Conflict transformation, Georgian-Abkhazian conflict, Peacebuilding, Identity

გამოყენებული ლიტერატურა

გამახარია ჯემალ, ახალაძე ლია, ჯოჯუა დაზმირ (2018), აფხაზეთის (საქართველო) ისტორიის საკითხები, მერიდიანი, თბილისი;

კვაშილავა კახა (2009), ისტორიული სამურზაყანო (XVII-XVIII სს. მიჯნა 1840წ.), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

ხორავა ბეჟან (1996), ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., „კერა-XXI", თბილისი;

Blauvelt Timothy (2014), The 'Mingrelian Question': Institutional Resources and the Limits of Soviet Nationality Policy, Europe-Asia Studies Vol. 66, No. 6, Routledge.

Blauvelt, Timothy (May 2007), "Abkhazia: Patronage and Power in the Stalin Era", Nationalities Papers, 35 (2): 203-232;

Broers, Laurence (June 2009), "'David and Goliath' and 'Georgians in the Kremlin': a post-colonial perspective on conflict in post-Soviet Georgia", Central Asian Survey, 28 (2): 99-118;

Coppieters, B. (2002). In defense of the homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian conflict. In B. Coppieters & R. Legvold (Eds.), Statehood and security: Georgia after the Rose Revolution. MIT Press.;

Cornell, S. E. (2001). Small nations and great powers: A study of ethnopolitical conflict in the Caucasus. Routledge.;

De Waal, T. (2010). The Caucasus: An introduction. Oxford University Press.;

Galtung, Johan. (1995). "Conflict Resolution as Conflict Transformation: The First Law of Thermodynamics Revisited." In Kumar Rupesinghe, ed., Conflict Transformation. New York: St. Martin's Press.;

Galtung, J. (1996). Peace by peaceful means: Peace and conflict, development and civilization. Sage Publications.;

Lakoba, Stanislav (1995), "Abkhazia is Abkhazia", Central Asian Survey, 14 (1): 97-105;

Lederach, J. P. (2003). The little book of conflict transformation. Good Books.;

Lederach, J. P. (1997). Building peace: Sustainable reconciliation in divided societies. United States Institute of Peace Press.;

Lederach, John Paul. (1999), Sustainable Reconculiation in Divided Societies, United States Institute of Peace Press, Washington, D.C.;

Lederach, John Paul. (1995). "Conflict Transformation in Protracted Internal Conflicts: The Case for a Comprehensive Network." In Kumar Rupesinghe, ed., Conflict Transformation. New York: St. Martin's Press.;

Lederach, John Paul. (1995). Preparing for Peace. New York: Syracuse University Press.;

Roald, Anne Sofie (2012), The Peculiar Case of the Megrelians -Representation and Identity Negotiation in Post-Soviet Georgia, Malmö University, Malmö

Saparov, Arsène (2015), From Conflict to Autonomy in the Caucasus: The Soviet Union and the making of Abkhazia, South Ossetia and Nagorno Karabakh, New York City: Routledge;

Suny, Ronald Grigor (1994), The Making of the Georgian Nation (Second ed.), Bloomington, Indiana: Indiana University Press;

Toal, G. (2017). Near abroad: Putin, the West, and the contest over Ukraine and the Caucasus. Oxford University Press.;

Hewitt, George, ed. (1998), The Abkhazians: A Handbook, New York City: St. Martin's Press;

Zürcher, Christoph (2007), The Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict, and Nationhood in the Caucasus, New York City: New York University Press;

International Crisis Group. (2013). Abkhazia: The long road to reconciliation. Brussels.;

Анчабадзе, Ю. Д.; Аргун, Ю. Г. (2012), Абхазы, Наука, Москва;

Джонуа.Б.Г. (2002), Заимствованная лексика абхазского языка, Сухумское отделение фонда Сороса, Сухум;

Ковалёв В. В., Мирошник О.Н. (2008) Грузино-абхазский вооружённый конфликт 1992-1993 гг.: генезис противостояния сторон и миротворческие усилия России и ООН. // Военно-исторический журнал,№ 7,С.29-33.;

Лакоба, Станислав (1990), Очерки Политической Истории Абхазии, Сухуми: Алашара;

Лакоба, Станислав (2001), "Я Коба а ты Лакоба",Искандер, Фазиль, Моё сердце в горах: очерки о современной Абхазии, Йошкар-Ола: Изд-во Марийского Полиграфкомбината;

Мурзаканов А.А. (1998), Самурзакан, Нальчик;

Папаскири, Зураб (2010), Абхазия История без фальсификации, Сухумский государственный университет, Тбилиси.;

Черный И. Я. Грабовский Н. Ф. Львов Н., (1868), Сборник сведений о кавказских горцах, Тифлис;

Абхазская Автономная Советская Социалистическая Республика. (1939),В помощь пропагандистам и агитаторам. Сухуми, Госплан при СПК Абхаз. АССР и Абгиз, 32 с.;;

Лордкипанидзе Мариам, (1990), Абхазы и Абхазия,Тбилиси

https://www.amsi.ge/istoria/div/m.lordkiPaniZe_abx.html#LinkTarget_796

ბითაძე ლია (2008), აფხაზების ანთროპოლოგიური ისტორია, თბილისი

https://iberiana.wordpress.com/afxazeti/bitadze/

მიტროპოლიტი ჯაფარიძე ანანია (2019), ადიღების დამკვიდრება ჩრდილოეთ კავკასიასა და აფხაზეთ-სამეგრელოში https://meufeanania.info/adigebi/